სს ფინკა ბანკი საქართველო მიკროსაფინანსო ჰოლდინგის FINCA Microfinance Holdings (FMH) გლობალური ქსელის ნაწილია, ფინკა ბანკს ძლიერი საერთაშორისო ფინანსური პარტნიორები ჰყავს როგორიცაა: FINCA International (USA), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC, World Bank Group) (USA), KFW Bankengruppe-გერმანიის განვითარების ბანკი, FMO-ნიდერლანდების გაერთიანებული ბანკი, responsAbility Social Investments AG, და Triple Jump. სს ფინკა ბანკი საქართველო, დღეისათვის 36 სერვის ცენტრის საშუალებით საბანკო მომსახურებას უწევს 100 000-ზე მეტ მომხმარებელს ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში

სს „ფინკა ბანკი საქართველო" აცხადებს ტენდერს:

**ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვა (თბილისსა და რეგიონებში).**

## აპარატურის ჩამონათვალი

| № | აღწერა | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ქსელური კამერა IPC-HDBW4431FP-AS-0280B 58395 | 45 |
| 2 | ქსელური კამერა IPC-HFW2421RF-ZS-IRE6 58360 | 45 |
| 3 | ქსელური ვიდეო ჩამწერი NVR5832-4KS2 58261 | 1 |
| 4 | ST4000VX000 ვინჩესტერი SV 4TB 39030 | 4 |
| 5 | PoE სვიჩი (24 პორტიანი) PFS4228-24P-370 58275 | 2 |

*ტექნიკური მოთხოვნები იხილეთ მიმაგრებულ ფაილში (დანართ №1)

**ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი სახის სამუშაოს შესრულება:**

- შესაბამისი საქონლის მოწოდება და მონტაჟი ფინკა ბანკის ფილიალებში (ფილიალების ჩამონათვალი იხ.დანართ №2);
- აპარატურის განლაგების ნახაზისა და სამონტაჟო სქემის შემუშავება;
- დამონტაჟებული კამერების მოთხოვნის შესაბამისად გადაადგილება;
- ქსელის კაბელების მონტაჟი სამეთვალყურეო კამერებისთვის;
- კამერების მონტაჟი უნდა მოხდეს არასამუშაო დროს (შაბათ-კვირას)
- ქსელურ ჩამწერებზე და ვიდეო კამერებზე საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3 (სამი) წელს მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან;
- მყარ დისკებზე საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2 (ორი) წელს მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან;
- საგარანტიო ვადის განმავლობაში დაზიანებული საქონლის შეკეთება/გამოცვლა უნდა განხორციელდეს 3 (სამი) დღის ვადაში.

**სატენდერო დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- მწარმოებელს უნდა გააჩნდეს მინიმუმ ერთი ავტორიზებული სერვის ცენტრი საქართველოში (სასურველია/ჩაითვლება უპირატესობად);
- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს MAF (Manufacturer Authorization Form) (სასურველია/ჩაითვლება უპირატესობად);

- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს განხორციელებული მსხვილი პროექტების ჩამონათვალი;
- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის სრული ტექნიკური სპეციფიკაცია;
- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის მონტაჟის ხარჯთაღრიცხვა (გადაადგილების, ქსელის წერტილის გაყვანის და ა.შ.);
- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი;
- განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშსწორების პირობები;
- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მოწოდების პირობები;
- მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგარანტიო პირობები;

**ხანგრძლივი ურთიერთობა**

ხანგრძლივ ურთიერთობისთვის, სასურველია მოგვაწოდოთ მომსახურების პირობები და ფასები, იმ შემთხვევაში თუ დაგვჭირდა დაზიანებული კამერის შეცვლა ან სხვა რომელიმე ფილიალში კამერის დამატება.

**დაინტერესებულმა კომპანიებმა** შემოთავაზებული IP კამერების, სვიჩის, ქსელური ჩამწერის და მომსახურების პირობების დეტალები, შევსებული დანართი #1 და დანართ #2, სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით ფინკა ბანკი საქართველოს სათავო ოფისში, მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მესამე სართული, ოფისი 12, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 09:00-დან 18:00 საათამდე 2018 წლის **30 მარტის ჩათვლით**.

კონვერტზე მითითებული უნდა იყოს მონაწილე კომპანიის დასახელება და ასევე, ტენდერის სახელწოდება: **„ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვა“**

სს ფინკა ბანკი საქართველო ახორციელებს საქმიანობას უმაღლესი ეთიკური და პროფესიული სტანდარტების მიხედვით და ბანკის შიდა წესების მიხედვით, ბანკის თანამშრომელს და/ან მასთან დაკავშირებულ პირს არ შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ინტერესი ბანკის რომელიმე კონტრაჰენტთან (ინტერესთა კონფლიქტი). აღნიშნულის გათვალისწინებით, ტენდერში მონაწილე კომპანიასა და ბანკის თანამშრომელს და/ან მათთან დაკავშირებულ პირებს შორის არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი.

დამატებითი შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: procurement@finca.ge და Tamaz.Chomakhidze@finca.ge;